სახელმწიფო დაწესებულებების ემბლემის შესაქმნელად შემუშავებული რეკომენდაციები „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 17², პუნქტი „ბ“, „ე“ და „ვ“) მიხედვით*

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ სახელმწიფო დაწესებულებას სურს, რომ საკუთარი ემბლემა სხვა სახელმწიფო დაწესებულების ემბლემისაგან, ან საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და დაწესებულების დასახელების აღმნიშვნელი წარწერით შედგენილი ემბლემისაგან (მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის #572-ე დადგენილების მიხედვით) განსხვავდებოდეს, აუცილებელია შემდეგი მოთხოვნის დაცვა:

- საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო - ემბლემა უნდა ასოცირდებოდეს საქართველოს სახელმწიფოსთან ისე, რომ წარწერის გარეშეც ერთმნიშვნელოვნად გამოიხატებოდეს მისი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან შემდეგი ფერებითა და სიმბოლოებით:

- **ფერები:** მეწამული (წითელი), ვერცხლი (თეთრი), ლაჟვარდი (ლურჯი) და ოქრო (ყვითელი).

- **სიმბოლოები:** ხუთჯვრიანი კომპოზიცია, სახელმწიფო დროშის ჯვარი, საქართველოს სახელმწიფო გერბის ფარი, სრულად ან კონტურულად.

* აღნიშნული არ გავრცელდება იმ დაწესებულებებზე, რომლებიც კანონით გამოსახავენ საქართველოს სახელმწიფო გერბს ან საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის #572-ე დადგენილებით ხელმძღვანელობენ.

რეკომენდირებული ფერები და ფარი

CMYK	0, 100, 100, 0
RGB	255, 0, 0
HEX	#FF0000

CMYK	0, 0, 0, 0	8, 6, 6, 0
RGB	255, 255, 255	231, 230, 231
HEX	#FFFFFF	#E7E6E7

CMYK	100, 80, 0, 0
RGB	3, 78, 162
HEX	#034EA2

CMYK	0, 21, 93, 0	0, 20, 60, 20
RGB	255, 201, 39	210, 171, 103
HEX	#FFC927	#D2AB67



ფერები

ლითონები

ყვითელი / ოქროსფერი - ოქრო

CMYK	0, 21, 93, 0	0, 20, 60, 20
RGB	255, 201, 39	210, 171, 103
HEX	#FFC927	#D2AB67

თეთრი / რუხი - ვერცხლი

CMYK	0, 0, 0, 0	8, 6, 6, 0
RGB	255, 255, 255	231, 230, 231
HEX	#FFFFFF	#E7E6E7

მინანქრები

მწვანე - ზურმუხტი

CMYK	87, 20, 100, 6
RGB	2, 140, 69
HEX	#028C45

ლურჯი - ლაჟვარდი

CMYK	100, 80, 0, 0
RGB	3, 78, 162
HEX	#034EA2

იისფერი - ძოწი

CMYK	30, 90, 41, 31
RGB	135, 43, 79
HEX	#872B4F

წითელი - მეწამული



CMYK	0,100, 100, 0
RGB	237, 28, 36
HEX	#ED1C24

შავი - სევადი (სევადა)



CMYK	100, 100, 100, 100
RGB	0, 0, 0
HEX	#000000

ბეწვეული

ყარყუმი



ციყვი



ტერიტორიულ-საქალაქო გერბების კომპონენტები



ხუთკოშკიანი ქონგურებიანი ოქროს გვირგვინი



ოთხკოშკიანი ქონგურებიანი ოქროს გვირგვინი



სამკოშკიანი ქონგურებიანი ოქროს გვირგვინი



სამკოშკიანი ქონგურებიანი ვერცხლის გვირგვინი



ერთკოშკიანი ქონგურებიანი ვერცხლის გვირგვინი



ევროპული ფარი



სადევიზე ბაფთა (ლენტი)



შესამკობელი

სადევიზე ბაფთის ფონტი:
Geo Kolkheti Mtavr Bold Geo Grotesk

- **ხუთკოშკიანი** ქონგურებიანი ოქროს გვირგვინი - საქართველოს დედაქალაქი (თბილისი);
- **ოთხკოშკიანი** ქონგურებიანი ოქროს გვირგვინი - ისტორიული დედაქალაქები (მცხეთა, ქუთაისი);
- **სამკოშკიანი** ქონგურებიანი **ოქროს** გვირგვინი - ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები (ბათუმი, სოხუმი);
- **სამკოშკიანი** ქონგურებიანი **ვერცხლის** გვირგვინი - საქართველოს მუნიციპალიტეტები;
- **ერთკოშკიანი** ქონგურებიანი ვერცხლის გვირგვინი - სათემო;
- **ევროპული ფარი**;
- **სადევიზე ბაფთა** (ლენტი);
- **შესამკობელი** - ვაზის წნული.

გერბის გამარტივებული ვერსია

ერთ ფერში

მუქ ველზე

სახელმწიფო გერბისა და მცირე გერბის გამარტივებული ვერსია ერთ ფერში და მუქ ველზე გამოიყენება იმისათვის, რომ გამოსახულება, შემცირების შემთხვევაშიც, იყოს აღქმადი.

დროშის პროპორციები



საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, დროშის განსაზღვრული პროპორციები არის 2X3, მსგავსად საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომებისა, რომელიც დადგენილია ორგანული კანონით „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“.

სსიპ სახელმწიფო სიმბოლიკისა
და ჰერალდიკის დეპარტამენტი

ქ. თბილისი

17 ოქტომბერი 2025

ბრძანება

N 60

ჰერალდიკური ფერებისა და ტერმინოლოგიის, საქართველოს
სახელმწიფო გერბის გამარტივებული გამოსახულების, დროშის
პროპორციების, ტერიტორულ-საქალაქო გერბების კომპონენტებისა
და ემბლემის შესაქმნელად ძირითადი ჰერალდიკური მოთხოვნებისა
და ზოგადი ნორმების დადგენა/განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 მარტის №65 დადგენილებით
დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და დეპარტამენტის“ ჰერალდიკის
დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,მ“ ქვეპუნქტების
საფუძველზე; მე–2 მუხლის 1 პუნქტის ,,ზ“, ,,თ“ და ,,ი“ ქვეპუნქტების,
მე-2 პუნქტის ,,ა“, „ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების უზრუნველსაყოფად,

1.სსიპ-საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი ორგანოს, ექსპერტთა კოლეგიის („ჰერალდიკის კოლეგია“) მეორე სხდომაზე (ოქმი №2; 02.10.2025) მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, განისაზღვროს და დამტკიცდეს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოსახვის ჰერალდიკური მოთხოვნები და ზოგადი ნორმები:

ა) ჰერალდიკური ფერები და ტერმინოლოგია (დანართი 1);

ბ) საქართველოს სახელმწიფო გერბის გამარტივებული გამოსახულება (დანართი 2);

გ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, დროშის პროპორციები (დანართი 3);

დ) ტერიტორიულ-საქალაქო გერბების კომპონენტების: გვირგვინების, ფარის, სადევიზე ბაფთისა და შესამკობლის სტანდარტები და ტერმინოლოგია (დანართი 4);

ე) საჯარო დაწესებულებების ემბლემის შესაქმნელად შემუშავებული რეკომენდაციები „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 17^2, პუნქტი ,,ბ“, ,,ე“ და ,,ვ“) მიხედვით (დანართი 5).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მამუკა გონგაძე

თავმჯდომარე